ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-539

„29" აგვისტო 2022 წ.

2022 წლის თბილისობის დღესასწაულის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში განსახორციელებლად საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

2022 წლის 1 და 2 ოქტომბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია „თბილისობა 2022"-ის გამართვას გეგმავს. თბილისობა ქალაქის ყველაზე მასშტაბური დღესასწაულია, რომელიც მოიცავს როგორც ტრადიციულ, ასევე თანამედროვე ღონისძიებებს.

განახლებულ ორბელიანის მოედანზე, გუდიაშვილის მოედანზე, ლეღვთახევში და რიყის პარკში, სპეციალურად მოწყობილ სივრცეებში, ღონისძიებები ყველა ასაკობრივი კატეგორიის გათვალისწინებითაა დაგეგმილი. განთავსდება მრავალფეროვანი, სხვადასხვა სტილისა და თემატიკის ინსტალაციები, ფოტოგადაღების კუთხეები, საგამოფენო პავილიონები, საინფორმაციო სტენდები და კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეები. გაიმართება დღის და საღამოს კონცერტები, ელექტრონული ლაივ-შოუები, თეატრალიზებული წარმოდგენა-პერფორმანსები და მრავალფეროვანი საბავშვო-გასართობი აქტივობები. მოეწყობა ღია კინოთეატრი, გასტრონომიის და ტკბილეულის ფესტივალი. ჩატარდება გრანდიოზული საზეიმო კონცერტი და თბილისის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ" და „პ" ქვეპუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და 3^3 პუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლების განკარგულების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებამდე, სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება შეათანხმოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან და უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვისთვის აუცილებელი სხვა პროცედურების განხორციელება.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის მიღებისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი აქტის გამოცემის შემდგომ, დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას, 2022 წლის თბილისობის დღესასწაულის

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული დანართის შესაბამისად, საქონლისა და მომსახურების ხარჯების ანაზღაურება განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

დანართი

2022 წლის თბილისობის დღესასწაულის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებები				
#	დასახელება	სავარაუდო ბიუჯეტი	განმახორციელებელი სამსახური	პროგრამული კოდი
1	საზეიმო კონცერტი და თბილისის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება	780,000.00	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია; ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახური	02 07
2	**თემატური ინსტალაციები და დეკორაციები** თბილისის დამეგობრებული და პარტნიორი ქალაქების პავილიონები; სტენდი "თბილისის განვითარების ისტორია"; სცენის დეკორაციები; მოცულობითი თაღი; მოცულობითი ლოგო -"თბილისობა 2022"; ინსტალაცია - "საპატიო თბილისელები"; "თბილისური უბანი ათონელზე"; მოსასვენებელი სივრცეები; კაფე "ქიმერიონი"; კაფე გუდიაშვილის მოედანზე; ინსტალაცია - "მთაწმინდის მთვარე"; ინსტალაცია - "მოცულობითი გაზეთი"	2,190,000.00	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია; ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახური	02 07
	სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები დღის და საღამოს კონცერტები; ელექტრონული ლაივ-შოუები; თეატრალური წარმოდგენები; "საუბრები თბილისურ ეზოებში"; თეატრალიზებული წარმოდგენა -პერფორმანსები; ღია კინოთეატრი; საბავშვო -გასართობი სივრცეები და აქტივობები; ზღაპრის გმირები; გასტრონომიის და ტკბილეულის ფესტივალი; ლეღვთახევის აქტივობები		ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია; ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახური	02 07
3	ღონისძიებების უზრუნველსაყოფად საჭირო, მათ შორის მერიის საკუთრებაში არსებული, შესაბამისი ინვენტარის აღდგენა-რესტავრაცია, ღონისძიების ადგილზე განთავსება, მონტაჟი-დემონტაჟი	80,000.00	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია; ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახური	02 07
	ჯამი	**3,050,000.00**		